სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

22 / მარტი / 2024 წ.

KARR0118698987224

№ **1-1/13**

ბრძანება

ურეკი - შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 47468 კვ.მ ფართობის არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2024 წლის 14 მარტს № 429/09 განცხადებით მომართა მოქალაქე ალექსანდრე ნამორაძემ ((პ/ნ 01036001755) შემდგომში: დაინტერესებული პირი). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა „ურეკი - შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (28 894კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2023 წლის 26 ოქტომბრის №1-1/53 ბრძანების შესაბამისი დანართების, მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებისა და „ურეკი - შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (28 894კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2024 წლის 18 იანვრის № 1-1/3 ბრძანებით დამტკიცებული კონცეფციის ძალადაკარგულად გამოცხადება და ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 47 468 კვ.მ. არეალზე (დანართი 1-ის შესაბამისად) მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და პროექტის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (47 468 კვ.მ) განთავსებულია ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, მასზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საკურორტო ზონა 2 (შზ-7), სხვა სპეციალური ზონა (სპზ-2), ლანდშაფტური ტერიტორიასა და სანიტარული დაცვის ზონაში.

დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის განვითარება მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსით, მასში შემავალი ყველა ფუნქციური ზონის დაშვებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, დანართი № 1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული "სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

1. მიღებულ იქნას დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.
2. გაფორმებულ იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.
3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში.
4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება და ხელშეკრულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად.
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ბრძანების ძალაში შესვლისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (28 894კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2023 წლის 26 ოქტომბრის № 1-1/53 ბრძანება და მის საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება და ასევე „ურეკი - შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (28 894კვ.მ) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2024 წლის 18 იანვრის № 1-1/3 ბრძანებით დამტკიცებული კონცეფცია.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე